

როგორ ვთქვათ უარი დაგროვებით საპენსიო სისტემაზე?



საპენსიო სააგენტოს ინფორმაციით, დაგროვებითი საპენსიო სქემის დატოვების შესახებ განცხადების დაწერა შესაძლებელია საპენსიო სააგენტოს ოფისში, რომლის მისამართია ყიფშიძის 7ბ.

განცხადების დაწერა ასევე შესაძლებელია სოციალური მომსახურების სააგენტოს ფილიალებში საქართველოს მასშტაბით. მისამართების ნახვა შეგიძლიათ მოცემულ ბმულზე: <http://ssa.gov.ge/index.php...>

საპენსიო სააგენტო აღნიშნავს, რომ საპენსიო სქემის დატოვება შეუძლიათ იმ პირებს, რომლებიც 2018 წლის 6 აგვისტოს უკვე იყვნენ 40 წლის ან მეტის.

“მნიშვნელოვანია გაითვადისწინოთ, რომ განცხადების დაწერა შესაძლებელია სქემაში ჩართვიდან სამი თვის შემდეგ. სამი თვის ათვდა კი იწყება იმ თარიღიდან, როდესაც ბუღალტერმა თქვენი პირველი საპენსიო შენატანი განახორციელა და დეკლარაცია დახურა.

დაგროვებით საპენსიო სისტემაში ჩართვისა და გასვლის თარიღი შეგიძლიათ შეამოწმოთ საპენსიო სააგენტოს ვებ-გვერდზე არსებულ თქვენს პირად პროფილზე.

პირად პროფილზე შესასვლელად გჭირდებათ მომხმარებლის სახელი და პაროლი, რომელიც ბუღალტრისგან უნდა მიიღოთ, შემდეგ კი შეხვიდეთ მოცემულ ბმულზე <https://agency.pensions.ge/ge/login>

გაითვადისწინეთ, რომ თუ ორი დამსაქმებელი გყავთ, პირად გვერდზე შესასვლელად დაგჭირდებათ ორი პაროლი.

დაგროვებით საპენსიო სქემაში ჩართვიდან სამი თვის შემდეგ განცხადების დასაწერად (სქემის დატოვების თაობაზე) გაქვთ მხოლოდ ორი თვე. თუ ამ ორი თვის განმავლობაში არ დატოვეთ სქემა, რჩებით დაგროვებითი საპენსიო სისტემის მონაწილედ.

განცხადების დაწერა შეუძლია მინდობილ პირს ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობის საფუძველზე.

საპენსიო სქემის დატოვების შემდეგ, დაგროვიდი თანხა დაუბრუნდებათ შემომტანებს (სახელმწიფო, დასაქმებელი, დასაქმებული)', - ნათქვამია განცხადებაში.

შეგახსენებთ, რომ დაგროვებითი საპენსიო სისტემა საქართველოში მიმდინარე წლის იანვრიდან ამოქმედდა. მასში ჩართვა სავადღებულოა 40-წლამდე პირებისთვის, 40-წელს ზემოთ მოქალაქეებისთვის კი არჩევითი. სისტემის ამოქმედების პეროდისთვის ყველა მოქალაქე, რომელიც დასაქმებულია, ავტომატურად ჩაერთო სისტემაში. 40 წელს გადაცილებულ პირებს, ვისაც არ სურთ დაგროვებით საპენსიო სისტემაში ყოფნა, შეუძლიათ სისტემაზე უარი თქვან.

bm.ge